ხელშეკრულება № 57

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ
51110000

ქ. თბილისი 18 მაისი, 2013წ.

სსიპ „მწერალთა სახლი“ შემდგომში "დამკვეთად“ წოდებული წარმოდგენილი მისი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს "ინსტა", შემდგომში "შემსრულებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბახსოლიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის $ь^1$ ქვეპუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დამკვეთისათვის შემსრულებლის მიერ შემდეგი სამუშაოების განხორციელება და მათი დამკვეთისთვის გადაცემა, ასევე ამასთან დაკავშირებით განსაზღვრული ქონების მიწოდება:

ზ/ა პროექტის განხორციელება, რაც გულისხმობს ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს;

ხელშეკრულების 1.1. პუნქტში გათვალისწინებული სამუშაოების და მასლების ღირებულება და სპეციფიკაცია განხაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. დამატებითი სამუშაოების წარმოქმნის შემთხვევაში მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმდება ამ ხელშეკრულების დანართი (დანართები), სადაც განისაზღვრება შესაბამისი პირობები.

1.3 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „შემსრულებელს“.

2. სამუშაოს შესრულების, მიღების და ფასის გადახდის ზოგადი წესები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დაიწყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.

2.2 თანხის გადახდა მოხდება სამუშაოების დასრულების ბოლოს, ფაქტობრივად გასული მასალებისა და შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით საავნსო თანხის გამოკლებით, შემსრულებლის მიერ საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 5 დღის განმავლობაში.

2.3 მასალების და სამუშაოების მიღება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის (აქტების) გაფორმებით.

2.4 შესრულებული სამუშაოს მიღების ადგილია მშენებლობის ადგილსამყოფელი. ამ მუხლში განსაზღვრული წესები შესაბამისად გამოიყენება ქონების მიწოდების მიმართაც

3. ქონების შემთხვევითი დაღუპვის რისკი

3.1 დამკვეთს ეკისრება შესრულებული სამუშაოს და ქონების შემთხვევითი დაღუპვის რისკი, თუ ისინი უკვე განხორციელებულია ან მიწოდებულია ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, დასრულებულია სამუშაო და მიღებულია ქონება, თუ არა

4. დამატებითი შესრულების მოთხოვნა

4.1 შემსრულებელი გადასცემს დამკვეთს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალ სამუშაოს ქონებას.

4.2. სამუშაო ნივთობრივად უნაკლოა თუ იგი შეესაბამება საქართველოში შესაბამისი სამუშაოსთვის დადგენილ ნორმებს. ქონება ნივთობრივად უნაკლოა თუ იგი შეესაბამება ევროგაერთიანების შესაბამის სტანდარტებს.

4.3. უფლებრივად უნაკლო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები დამკვეთს მიღებული ქონების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

4.4. ქონების მიღებისას დამკვეთი ვალდებულია შეამოწმოს მისი ხარისხი. თუ ქონება გარეგნული ან ვიზუალური ნაკლის მქონეა, დამკვეთს შეუძლია განაცხადოს ამის შესახებ ქონების მიღებიდან არაუმეტეს 3 დღეში. თუ დამკვეთი მოცემულ ვადაში არ განაცხადებს პრეტენზიას ქონების თაობაზე, მაშინ მას არ წარმოეშობა მოთხოენის უფლებები ქონების ნაკლის გამო.

4.5. თუ ქონება ნაკლის მქონეა და დამკვეთმა შეატყობინა შემსრულებელს ამის შესახებ, დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი შესრულება ამისთვის აუცილებელი ვადის შემსრულებელთან შეთანხმებით.

4.6. შემსრულებელს შეუძლია თავისი არჩევანით ან აღმოფხვრას ნაკლი ან დაამზადოს ახალი პროდუქცია. დამატებითი შესრულების მიზნით შემსრულებელი ვალდებულია გასწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები.

5. შემსრულებლის გარანტია

5.1. შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის ქონების (მასალების) მიწოდების შემთხვევაში ის იძლევა ერთ წლიან გარანტიას ამ ქონებაზე.

5.2 გარანტია გულისხმობს, რომ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან, ქონების ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია თავის ხარჯით აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს ქონება.

5.3. შემსრულებელს არ ეკისრება საგარანტიო პასუხისმგებლობა, თუ ნაკლი გამოწვეულია დამკვეთის ან მესამე პირთა მიერ ქონების ექსპლოატაციის წესების დარღვევით, ბუნებრივი ან სხვა მოვლენებით, რომელებიც მოახდენენ ექსპლოატაციის ნორმატიული რეჟიმიდან ქონების გამოყვანას.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. დამკვეთი არ აგებს პასუხს მესამე პირთა ჯანმრთელობის ან ქონების იმ ზიანზე, რომელიც მიყენებული იქნა შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ან მისი დანართებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებისას.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2 "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

7.3. "დაუძლეველი ძალის" ქვეშ არ იგულისხმება წვიმა, თოვლი და ქარბუქი.

თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

7.4. შეუტყობინებლობა ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.5. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ თვეზე მეტხანს მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

8. დამატებითი პირობები

8.1. დამკვეთი ვალდებულია მოამზადოს ობიექტი სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად. ის ვალდებულია შემდგომაც, სამუშაოების შესრულების პროცესში ყველანაირად დაეხმაროს შემსრულებელს შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნით, აღმოფხვრას ყველანაირი ხელშემშლელი გარემოება. ამ პირობის დარღვევისათვის სამუშაოს შესრულების ვადები გადაიწევს შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოებისთვის დამკვეთმა უნდა მიაწოდოს შემსრულებელს ამისთვის საჭირო ინფორმაცია, რომელიც მოიცავს, ან არ შემოიფარგლება: ნახაზებს, ობიექტის მიზნობრივი ფუნქციორებიდან გამომდინარე ტექნიკური პირობებს.

8.3. დამკვეთი და შემსრულებელი დანიშნავენ საკონტაქო პირებს, რომლებიც განახორციელებენ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

8.4. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების პერიოდში დაუყონებლივ შეატყობინოს დამკვეთს ყველა წარმოქმნილი პრობლემების ან სამუშაოების გეგმის შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

8.5. შემსრულებელი უზრუნველყოფს სამშენებლო მოედანზე სამუშაოების ჩატარების პერიოდში უსაფრთხოების წესების დაცვას არსებული ნორმების შესაბამისად.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კონსესუსს მოლაპარაკების გზით, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დამთავრებამდე.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად. ორივე ეგზემპლიარს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

10.3. არცერთ მხარეს არ შეუძლია ცალმხრივად ბათილად ჩათვალოს წინამდებარე ხელშეკრულება.

10.4. ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობით, ხელშეკრულების დამატების სახით და შესაბამისი ანაზღაურებით.

მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ "მწერალთა სახლი"	შპს "ინსტა"
0105 ქ.თბილისი	ქ. თბილისი 0177, ზაქარიაძის ქ. №8
მაჩაბლის ქ. № 13	ს/ს ბანკი „რესპუბლიკა", ც/ფ
სს „საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი: REPLGE22
ანგ №GE48BG0000000275963200	ა/ა: GE51BR0000000036082919
ს/კ 205 299 005	ს/კ 202057264
დირექტორი-მენეჯერი	დირექტორი
/ნ.ლომოური/	/ გ. ბახსოლიანი/

18 მაისი, 2013წ

ხელშეკრულების დანართი

ობიექტი: ქ.თბილისი, მაჩაბლის ქ. №13–ში მდებარე შენობა

N	კოდი	დასახელება	რაოდენობა		ერთ. ფასი	ჯამი
1	HO7VK 2.5	ერთწვერა კაბელი(შავი) 2.5მმ2	300.0	მ	1.00	300.00
2	KOPOSKOB2	მილის დამჭერი 20მმ	1.0	ცალი	0.40	0.40
3	KOPOTR20	საინსტ. მყარი მილი 20მმ დიამეტრი	6.0	მ	1.50	9.00
4	NO-PHS 8T	კარადა გ/მ 1 რიგი 8 ადგილი IP65	1.0	ცალი	33.75	33.75
5	PL6-C16\1	ავტომატური ამომრთველი 16ა 1 პო	2.0	ცალი	8.50	17.00
6	OS-CLAS A C	ნათურა სტანდარტული 60ვტ 710ლ	12.0	ცალი	0.60	7.20
7	2325 H50D	საინსტ. გოფრ. მილი (D25მმ) 125ნ, (	15.0	მ	0.80	12.00
8	AC-GSB030	ორკომპონენტიანი ჟელე იზოლაციი	1.0	ცალი	27.50	27.50
9	CV380S	კაბელის შემკვრელი თეთრი L=380m	100.0	ცალი	0.20	20.00
10	FT-E113GN	გამანაწილებელი გ/მ კოლოფი IP54	12.0	ცალი	1.65	19.80
11	FT-E115lose	როზეტის ბუდე გიფსო	2.0	ცალი	0.95	1.90
12	JUEP421WV	როზეტი თეთრი	2.0	ცალი	6.45	12.90
13	JUEP482WV	ჩარჩო 2-იანი თეთრი	1.0	ცალი	3.15	3.15
14	NYM-J3x2.5	ძალოვანი კაბელი 3x2.5მმ2	60.0	მ	2.90	174.00
15	OL-70213	სკობიN7/8	1.0	100ცალ	3.00	3.00
16	SK3	ხრახნიანი კლემა 6მმ2 ქრომირებულ	3.0	ცალი	3.00	9.00
	მასალების მთლიანი ღირებულება					650.60
	მონტაჟი					520.00
	პროექტის მთლიანი ღირებულება					1170.60

განფასებაში გათვალისწინებული არ არის სანათი საშულებები

ფასები მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით

სსიპ "მწერალთა სახლის" დირექტორ-მენეჯერი
ნ. ლომოური

შპს "ინსტას" დირექტორი
გ.ბახსოლიანი